

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6  
2026 წლის 7 აპრილი

ქ. გურჯაანი

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 დეკემბრის №17 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 19/12/2025, №190020020.35.166.016639) და ჩამოყალიბდეს:

**თავი I. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები**

**მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი**

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი თანდართული რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი			2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>I. შემოსავლები</b>	<b>53,983.3</b>	<b>58,197.3</b>	<b>39,634.9</b>	<b>18,562.4</b>	<b>52,489.2</b>	<b>40,861.0</b>	<b>11,628.2</b>
გადასახადები	30,413.9	35,288.1	35,288.1	-	36,611.0	36,611.0	-
გრანტები	19,492.2	18,562.4	-	18,562.4	11,628.2	-	11,628.2
სხვა შემოსავლები	4,077.2	4,346.8	4,346.8	-	4,250.0	4,250.0	-
<b>II. ხარჯები</b>	<b>33,698.1</b>	<b>37,421.3</b>	<b>34,117.4</b>	<b>3,303.9</b>	<b>39,800.6</b>	<b>36,076.0</b>	<b>3,724.6</b>
შრომის ანაზღაურება	4,323.0	4,785.4	4,785.4	-	5,360.0	5,360.0	0.0
საქონელი და მომსახურება	3,940.5	5,073.5	4,694.4	379.1	5,931.5	5,456.8	474.8
პროცენტი	15.0	8.3	8.3	-	4.0	4.0	-
სუბსიდიები	19,807.9	21,967.5	21,435.7	531.8	22,931.2	21,441.0	1,490.2
გრანტები	137.8	158.5	158.5	-	205.0	205.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	2,039.8	2,448.8	2,409.4	39.4	2,568.2	2,468.2	100.0



სხვა ხარჯები	3,434.1	2,979.4	625.8	2,353.6	2,800.6	1,141.0	1,659.6
<b>III. საოპერაციო საღდო</b>	<b>20,285.2</b>	<b>20,776.0</b>	<b>5,517.5</b>	<b>15,258.5</b>	<b>12,688.6</b>	<b>4,785.0</b>	<b>7,903.6</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>22,820.1</b>	<b>20,209.4</b>	<b>4,644.2</b>	<b>15,565.2</b>	<b>16,924.5</b>	<b>7,711.6</b>	<b>9,212.9</b>
ზრდა	23,064.3	20,368.5	4,803.3	15,565.2	17,124.5	7,911.6	9,212.9
კლება	244.2	159.1	159.1		200.0	200.0	
<b>V. მთლიანი საღდო</b>	<b>- 2,534.9</b>	<b>566.6</b>	<b>873.3</b>	<b>- 306.7</b>	<b>- 4,235.9</b>	<b>- 2,926.6</b>	<b>- 1,309.3</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>- 2,611.2</b>	<b>490.2</b>	<b>797.0</b>	<b>- 306.7</b>	<b>- 4,275.9</b>	<b>- 2,966.6</b>	<b>- 1,309.3</b>
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-
კლება	2,611.2	490.2	797.0	306.7	4,275.9	2,966.6	1,309.3
ვალუტა და დეპოზიტები	2,611.2	490.2	797.0	306.7	4,275.9	2,966.6	1,309.3
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>- 76.3</b>	<b>- 76.3</b>	<b>- 76.3</b>	<b>-</b>	<b>- 40.0</b>	<b>- 40.0</b>	<b>-</b>
კლება	76.3	76.3	76.3	-	40.0	40.0	-
საშინაო	76.3	76.3	76.3	-	40.0	40.0	-
სესხები	76.3	76.3	76.3	-	40.0	40.0	-
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>- 0.0</b>	<b>-</b>

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	54,227.5	58,356.4	52,689.2	41,061.0	11,628.2
შემოსავლები	53,983.3	58,197.3	52,489.2	40,861.0	11,628.2
არაფინანსური აქტივების კლება	244.2	159.1	200.0	200.0	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-		



ვალდებულებების ზრდა	-	-	-		
<b>გადასახდელები</b>	<b>56,838.7</b>	<b>57,866.2</b>	<b>56,965.0</b>	<b>44,027.6</b>	<b>12,937.5</b>
ხარჯები	33,698.1	37,421.3	39,800.6	36,076.0	3,724.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	23,064.3	20,368.5	17,124.5	7,911.6	9,212.9
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-		
ვალდებულებების კლება	76.3	76.3	40.0	40.0	-
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>- 2,611.2</b>	<b>490.2</b>	<b>- 4,275.9</b>	<b>- 2,966.6</b>	<b>- 1,309.3</b>

### მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 52 489,2ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>შემოსავლები</b>	<b>53,983.3</b>	<b>58,197.3</b>	<b>52,489.2</b>	<b>40,861.0</b>	<b>11,628.2</b>
გადასახადები	30,413.9	35,288.1	36,611.0	36,611.0	-
გრანტები	19,492.2	18,562.4	11,628.2		11,628.2
სხვა შემოსავლები	4,077.2	4,346.8	4,250.0	4,250.0	

### მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 36 611,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>გადასახადები</b>	<b>30,413.9</b>	<b>35,288.1</b>	<b>36,611.0</b>	<b>36,611.0</b>	<b>-</b>
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-		



დამატებითი ღირებულების გადასახადი	23,936.2	27,630.0	29,511.0	29,511.0	
ქონების გადასახადი	6,477.7	7,658.1	7,100.0	7,100.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4,396.4	5,488.3	5,000.0	5,000.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	54.0	30.4	-	-	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	192.4	203.8	-	-	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	990.5	1,095.3	1,200.0	1,200.0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	844.4	840.3	900.0	900.0	

## მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 11 628,2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>19,492.2</b>	<b>18,562.4</b>	<b>11,628.2</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	67.5	60.5	
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	19,424.7	18,501.9	11,628.2
მიმდინარე მ.შ	628.6	2,340.1	2,562.4
სპეციალური ტრანსფერი		1,722.0	200.0
გრანტები სახ. ბიუჯეტიდან, მიმდინარე სხვა			1,772.7
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	628.6	618.1	589.7
კაპიტალური ტრანსფერი	18,796.1	16,161.8	9,065.8
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	18,796.1	16,161.8	9,065.8
სპეციალური ტრანსფერი	5,399.5	790.0	
კაპიტალური ტრანსფერი	12,621.3	14,275.8	8,509.4
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები სახ. ბიუჯეტიდან	775.3	1,096.0	556.4

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 4 250,0ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>4,077.2</b>	<b>4,346.8</b>	<b>4,250.0</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	822.3	465.4	450.0
პროცენტები	498.3	238.9	200.0
რენტა	324.0	226.5	250.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,622.6	1,597.0	1,650.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,575.5	1,558.7	1,610.0
სანებართვო მოსაკრებელი	318.8	117.5	200.0
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვებზე	318.8	117.5	200.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	-	-	-
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	-	-	-
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	933.4	1,124.0	1,100.0
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის	-	-	-
ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	-	-	-
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	-	-	-
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	323.3	317.2	310.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	-	-	-
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	47.1	38.3	40.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	1,297.2	2,017.6	1,850.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	-	-	-
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	335.1	266.8	300.0

**მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით**

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 39 800,6 ათასი ლარით:

ათას ლარში

	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა



დასახელება	2024 წლის ფაქტი	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>ხარჯები</b>	<b>33,698.1</b>	<b>37,421.3</b>	<b>39,800.6</b>	<b>36,076.0</b>	<b>3,724.6</b>
შრომის ანაზღაურება	4,323.0	4,785.4	5,360.0	5,360.0	0.0
საქონელი და მომსახურება	3,940.5	5,073.5	5,931.5	5,456.8	474.8
პროცენტები	15.0	8.3	4.0	4.0	-
სუბსიდიები	19,807.9	21,967.5	22,931.2	21,441.0	1,490.2
გრანტები	12.5		205.0	205.0	
სოციალური უზრუნველყოფა	2,039.8	2,448.8	2,568.2	2,468.2	100.0
სხვა ხარჯები	3,434.1	2,979.4	2,800.6	1,141.0	1,659.6

### მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 17 124,5 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 16 924,5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება -200.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>1,379.5</b>	<b>1,101.1</b>	<b>105.0</b>
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,379.5	1,101.1	105.0
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>20,977.3</b>	<b>18,345.9</b>	<b>14,369.5</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	15,513.2	15,844.0	10,051.7
02 02	წყლის სისტემების განვითარება	183.8	62.4	150.0
02 03	გარე განათება	418.0	0.7	1.6
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1,232.7	161.0	1,000.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	398.2	389.4	1,735.1
02 06	საკანალიზაციო სისტემებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციის სამუშაოები	328.0	73.3	200.0
02 07	ხეების გაწმენდა და ნაპირსამაგრი სამუშაოები	157.1	5.1	-
02 08	სოფლის პროგრამა	631.9	454.2	1,009.9



02 10	მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის ხელშეწყობა	459.6	301.9	216.3
02 11	სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები	1,619.9	1,049.0	-
02 12	მუნიციპალური ტრანსპორტი	34.9	5.0	5.0
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>101.8</b>	<b>142.8</b>	<b>300.0</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1.8		
03 05	კაპ დაბანდება დასუფთავებაში	100.0	142.8	300.0
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>178.3</b>	<b>399.2</b>	<b>2,004.9</b>
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	14.8	11.4	10.0
04 05	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	163.5	191.8	950.0
04 03	ააიპ მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	-		
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	-	195.9	1,044.9
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>426.4</b>	<b>300.1</b>	<b>140.0</b>
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	55.7	79.6	100.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	370.7	220.5	40.0
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>1.0</b>	<b>79.4</b>	<b>205.0</b>
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1.0	79.4	205.0
	<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>23,064.3</b>	<b>20,368.5</b>	<b>17,124.5</b>

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>244.2</b>	<b>159.1</b>	<b>200.0</b>
ძირითადი აქტივები	93.8	0.2	100.0
არაწარმოებული აქტივები	150.4	158.9	100.0
მიწა	150.4	158.9	100.0
მატერიალური მარაგები	-	-	-

### მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში



ფუნქცი- ონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა
7.1	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>7,792.6</b>	<b>8,158.9</b>	<b>7,902.8</b>
7.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7,701.3	8,074.3	7,620.2
7.1.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	7,701.3	8,074.3	7,520.2
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	-	100.0
7.1.2	საგარეო ეკონომიკური დახმარება			
7.1.3	საერთო დანიშნულების მომსახურება	-	-	-
7.1.4	ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები			
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	91.3	84.6	44.0
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში			238.6
<b>7.2</b>	<b>თავდაცვა</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	-	-	-
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობათავდაცვის სფეროში			
7.3	<b>საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
7.3 1	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა			
7.3 2	სახანძრო-სამაშველო სამსახური			
<b>7.4</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>17,749.0</b>	<b>18,380.1</b>	<b>13,023.9</b>
7.4 1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა			
7.4 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	-	-	
7.4 3	სათბობი და ენერგეტიკა			
7.4 4	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა			
7.4 5	ტრანსპორტი	17,037.6	17,338.5	11,701.7
7.4 5 1	სავაჭრომობილო ტრანსპორტი და გზები	16,155.7	17,338.5	11,701.7
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	881.9		-
7.4 6	კავშირგაბმულობა			
7.4 7	ეკონომიკის სხვა დარგები			



7.4 8	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროსი			
7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	711.4	1,041.6	1,322.2
<b>7.5</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>2,920.1</b>	<b>3,252.4</b>	<b>4,391.5</b>
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2,069.5	2,032.4	2,250.0
7.5 3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	247.6	-	
7.5 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	603.0	1,220.0	2,141.5
<b>7.6</b>	<b>საბინაო კომუნალური მეურნეობა</b>	<b>12,268.1</b>	<b>8,981.7</b>	<b>10,091.3</b>
7.6 1	ბინათმშენებლობა	1,371.9	208.6	2,914.8
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	4,290.2	3,270.0	244.9
7.6 3	წყალმომარაგება	2,698.1	2,552.5	2,290.0
7.6 4	გარე განათება	2,351.2	2,479.6	2,701.6
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1,556.7	470.9	1,940.1
<b>7.7</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>268.1</b>	<b>294.4</b>	<b>318.7</b>
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	268.1	294.4	318.7
<b>7.8</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>6,911.7</b>	<b>8,102.2</b>	<b>8,101.0</b>
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,991.3	2,404.8	2,288.0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	4,745.4	4,769.8	4,638.0
7.8 3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	175.0	175.0	175.0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	-	752.7	1,000.0
<b>7.9</b>	<b>განათლება</b>	<b>6,097.5</b>	<b>7,349.3</b>	<b>9,625.8</b>
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	5,758.3	6,768.0	8,211.2
7.9 2	ზოგადი განათლება	339.2	581.3	40.0
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	339.2	581.3	1,374.6
<b>7 10</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>2,831.6</b>	<b>3,347.2</b>	<b>3,510.0</b>
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	1,108.4	1,521.2	1,510.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	7.8	7.8	10.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	596.9	476.7	545.0
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	65.1	87.3	100.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას		17.1	100.0
	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური			



7 10 9	დაცვის სფეროში	1,053.4	1,237.2	1,245.0
	სულ	56,838.7	57,866.2	56,965.0

### მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -4 235,9 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 12 688,6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	20285,2	20 776,0	12688,2
მთლიანი სალდო	-2534,9	566,6	-4235,9

### მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2611,2	490,2	-4 275,9
ზრდა	-	-	00
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	00
კლება	2611,2	-490,2	4 275,9
ვალუტა და დეპოზიტი	2611,2	-490,2	4275,9

ფინანსური აქტივების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო არნგარიშზე არსებულ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2026 წელს.

### მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 40,0 ათასი ლარი (ძირი 40,0 ათ ლარი და % 4 ათ ლარი) ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წლის 16 თებერვალს მიღებული სესხის თანხის დაფარვას. გურჯაანის მუნიციპალიტეტის მთლიანი სასახლო ვალდებულება შეადგენდა - 534,1 ათ.ლარს. 2026 წლისთვის სესხი იფარება სრულად.

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის პროექტი
		მათ შორის	მათ შორის



	სულ	სულ	საკუთარი	სახელმწიფო	სულ	საკუთარი	სახელმწიფო
			შემოსავლები	ბიუჯეტის		შემოსავლები	ბიუჯეტის
			ფონდები	ფონდები		ფონდები	ფონდები
VII. ვალდებულებების ცვლილება	-76.3	- 76,3	- 76,3	-	-40.0	-40.0	-
კლება	76.3	76,3	76,3	-	40.0	40.0	-
საშინაო	76.3	76,3	76,3	-	40.0	40.0	-
სესხები	76.3	76,3	76,3	-	40.0	40.0	-

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 23 115,2 ათ. ლარით:

ათასი ლარი

კოდ	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი			2026 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	30,017.1	27,361.8	10,143.3	17,218.5	23,115.2	13,663.7	9,451.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	16,155.7	16,009.5	2,938.8	13,070.7	10,351.7	4,450.0	5,901.7
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	15,492.4	15,844.0	2,773.3	13,070.7	9,901.7	4,000.0	5,901.7
02 01 02	გზების მოვლა პატრონობა	603.7	102.4	102.4	-	200.0	200.0	-
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	59.6	63.2	63.2	-	250.0	250.0	-
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2,698.1	2,552.5	2,552.5	-	2,290.0	2,290.0	-
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	83.9	2.0	2.0	-	-	-	-
02 02 02	ააიპ მუნიციპალური სერვისი	2,614.2	2,550.5	2,550.5	-	2,290.0	2,290.0	-
02 03	გარე განათება	2,351.2	2,479.6	2,479.6	-	2,701.6	2,701.6	-
02 03 01	გარე განათების ქსელის მოწყობა, ელ ენერჯის ხარჯი	961.8	922.8	922.8	-	1,001.6	1,001.6	-



02 03 03	ა(ა)იპ გურჯაანის გარეგანათების სამსახური	1,389.4	1,556.8	1,556.8		1,700.0	1,700.0	
02 04	შენობების მშენებლობა - რეაბილიტაცია დემონტაჟი	1,371.9	208.6	158.0	50.6	2,914.8	1,500.0	1,414.8
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მშენებლობა- რეაბილიტაცია	1,232.7	161.0	110.4	50.6	1,000.0	1,000.0	-
02 04 02	მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაცია	139.2	47.6	47.6	-	1,914.8	500.0	1,414.8
02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სკვერები, სპორტული მოედნები)	398.2	389.4	389.4	-	1,735.1	800.0	935.1
02 06	საკანალიზაციო სისტემებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციის სამუშაოები	328.0	73.3	55.4	17.9	200.0	200.0	
02 07	ხეების გაწმენდა და ნაპირსამაგრი სამუშაოები	157.1	5.1	5.1	-	-	-	-
02 08	სოფლის პროგრამა	711.4	498.3	47.7	450.6	1,009.9	245.0	764.9
02 09	თვითმმართველობის საკუთრებაში გადმოსაცემი ქონების მიწის პასპორტირებისა და აუდიტორული მომსახურება	2.6	3.1	3.1		5.0	5.0	-
02 10	მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის ხელშეწყობა	670.8	543.3	184.6	358.6	312.3	122.1	190.2
02 11	სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები	4,290.2	3,270.0	-	3,270.0	244.9		244.9
02 12	მუნიციპალური ტრანსპორტი	881.9	1,329.0	1,329.0		1,350.0	1,350.0	

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურა

პროგრამის დასახელება	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
პროგრამული კოდი	02 01
პროგრამის ბიუჯეტი	10 351,7
ფუნქციონალური კოდი	7.451
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამა გულისხმობს გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალი გზების მშენებლობას და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაციას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო



	და ქვეითა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. ზვერი კორპუსის ეზო საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული კეთილმოწყობილი ცენტრალური თუ მეორეხარისხოვანი გზიდან და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს, ტრანსპორტით თუ ფეხით, ეზომდე მისასვლელად მაინც მოუწესრიგებელი ტერიტორიის გავლით უწევთ გადაადგილება. საჭიროა ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია,
<b>პროგრამის მიზანი</b>	მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. კერძოდ, საბავშვო ეტლით მოსარგებლებებისათვის და შშმ პირებისათვის ადაპტირებული, ქალების, ბავშვების, ხანდაზმულთა კომფორტული, უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება, მგზავრობის დროის და სატრანსპორტო დანახარჯების დაზოგვა, ქალაქში მაცხოვრებელთათვის და ტურისტებისათვის ტრანსპორტისა და ფეხით გადაადგილებისას მაღალი კომფორტის შექმნა, ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვა, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება
<b>გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</b>	მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11: მდგრადი განვითარება
<b>პროგრამის განხორციელების ვადები</b>	პროგრამა მიმდინარეობს მუდმივად.
<b>პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</b>	მოსახლეობისათვის შექმნილია და მოწესრიგებულია თანაბრად ხელმისაწვდომი, სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა შეუფერხებელი გადაადგილება

<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>გზების კაპიტალური შეკეთება</b>
<b>პროგრამული კოდი</b>	02 01 01
<b>ქვეპროგრამის ბიუჯეტი</b>	<b>9 901,7</b>
<b>ფუნქციონალური კოდი</b>	7.4 5 1
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	<b>ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური</b>
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	<p>დღეის მდგომარეობით გურჯაანის მუნიციპალიტეტის საერთო სარგებლობის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძე შიდა საუბნო გზების გამოკლებით შეადგენს 380 კილომეტრს, ხოლო შიდა სარგებლობის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სიგრძე (შიდა საუბნო გზების ჩათვლით) 730 კილომეტრია. მუნიციპალიტეტის შიდა საუბნო გზების სიგრძე დაახლოებით 350 კილომეტრია რომლიდანაც ბოლო 5 წლის განმავლობაში რეაბილიტირდა შიდა საუბნო გზა რაც დაახლოებით შიდა საუბნო გზების 38 პროცენტამდეა. მუნიციპალიტეტის 30 სოფლიდან 28 უკავშირდება ადმინისტრაციულ ცენტრს ასფალტის საფარიანი გზით ხოლო 2 მათგანი გრუნტოვანი გზით. პროგრამით განხორციელდება: ღონისძიების ფარგლებში რეაბილიტირდება ორი სოფლის დამაკავშირებელი გზა 1700 გრძ/მ, შიდა საუბნო გზა ჭანდარში 510 გრძ/მ და სასაფლაოს გზა დარჩეთში 1268გრძ/მ. აქედან 2210გრძ/მ ასფალტის და 1268გრძ/მ ბეტონის საფარი.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ასევე ვიზიტორთათვის სწარაფი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. 2026 წელს შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია განხორციელდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი თანხებით.</p>
<b>გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</b>	11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები



ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2026-29 წწ.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად რეაბილიტირდება 3,5 კმ გზა. (ასფალტი/ბეტონი)

ქვეპროგრამის დასახელება	გზების მოვლა პატრონობა
პროგრამული კოდი	02 01 02
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	200,0
ფუნქციონალური კოდი	7.4 5 1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
ქვეპროგრამის მიზანი	ღონისძიების ფარგლებში მოიხრეშება სავარგულებთან მისასვლელი გზები ყველა სოფელსა და ქალაქ გურჯაანში, ვინაიდან სარეაბილიტაციო გზების მდგომარეობა არაადასრულებულია მოსახლეობას უჭირს როგორც ფეხით ასევე ავტომანქანებით გადაადგილება. რაც რთვლის სეზონზე განსაკუთრებით აფერხებს მოსახლეობას. პროექტის განხორციელების შედეგად ისარგებლებს დაახლოებით 40 000 მდე ბენეფიციარი. ღონისძიების მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გზით სწრაფი, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება და მოსავლის მოყვანისა და აღების პროცესის შეუფერხებლად წარმართვა.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2026წ
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დაცულია მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილება, მოწესრიგებულია სავარგულებთან მისასვლელი გზები

ქვეპროგრამის დასახელება	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება
პროგრამული კოდი	02 01 03
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	250,0
ფუნქციონალური კოდი	7.4 5 1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
ქვეპროგრამის მიზანი	დღეის მდგომარეობით გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 62 ზოგადი ხედვის და 22 ნომრის ამომცნობი კამერა. რომლის მოვლა-პატრონობაც ხორციელდება. რეაბილიტირებული გზების ზრდასთან ერთად უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს უსაფრთხოება, ორგანიზებული მოძრაობის წესების დაცვისთვის აუცილებელი ხდება საგზაო ნიშნების და



	მონიშვნების არსებობა. ქვეპროგრამის მიზანია უსაფრთხო გახადოს ახლად რეაბილიტირებულ გზებზე მოძრაობა.	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება	
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2026/29 წ.	
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დაცულია მოქალაქეთა გადაადგილების უსაფრთხოება, მოწესრიგებული ტრანსპორტის მოძრაობა.	

02 02 წყლის სისტემის განვითარება

პროგრამის დასახელება	წყლის სისტემის განვითარება	
პროგრამული კოდი	02 02	
პროგრამის ბიუჯეტი	2290,0	
ფუნქციონალური კოდი	7.6.3	
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია წლის ნებისმიერ პერიოდში მოსახლეობის 24საათიანი წყალმომარაგება. პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივ მოქმედ პროგრამას.</p>	
პროგრამის მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში იყოს 24 საათიანი წყალმომარაგება მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.</p>	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 6: სუფთა წყალი და სანიტარია.	
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი	
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ყველა ოჯახს მიეწოდება წყალი	



ქვეპროგრამის დასახელება	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	
პროგრამული კოდი	02 02 01	
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	00	
ფუნქციონალური კოდი	7.6.3	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი	<p>ღონისძიების ფარგლებში საჭიროების მიხედვით განხორციელდება წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის იმ ოფლებში, სადაც არ კეთდება 24 საათიანი წყალმომარაგების პროექტი, შესაბამისად ქვეპროგრამა უზრუნველყოფს მათ 24 საათიან წყალმომარაგებას. ამჟამად არნიშნულ სოფლებს წყალი მიეწოდება გრაფიკით რაც პრობლემურია, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. გურჯაანის სოფლებში სახელმწიფო პროგრამით ხორციელდება წყალმომარაგების სამუშაოები.</p> <p>ღონისძიების მიზანია მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგება.</p>	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	6. სუფთა წყალი და სანიტარია.	
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2026 წ.	
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სასმელი წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება	

ქვეპროგრამის დასახელება	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	
პროგრამული კოდი	02-02-02	
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	2290,0	
ფუნქციონალური კოდი	7.6 3	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „გურჯაანის მუნიციპალური სერვისი“	
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამის მიხედვით სამსახურის მიზანია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების სანიაღვრე და წყალმომარაგების ქსელების მოწესრიგება და მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა. სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება, არსებული დაზიანებების დროული აღმოფხვრა.	
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	6. სუფთა წყალი და სანიტარია.	
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2026 წელი.	
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად,	



## 02 03 გარე-განათება

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა:

- გარე განათების ქსელის მოწყობა და ელ. ენერჯის ქვეპროგრამა.
- ა(ა)იპ გურჯაანისგარე განათების სამსახური.

პროგრამის დასახელება	გარეგანათება
პროგრამული კოდი	02 03
პროგრამის ბიუჯეტი	2701,6
ფუნქციონალური კოდი	7.6.4
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	არსებული გარე განათების სისტემა ვერ აკმაყოფილებს სრულად ყველა უბნის განათებას, თუმცა ქ.გურჯაანში და 23 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში) გარე განათების სისტემა მოიცავს 28000-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 28000-ზე მეტ სანათ წერტილს, 50000 გრძელ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას, დროულად ხდება არსებულ გარეგანათების სისტემაზე წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრა
პროგრამის მიზანი	გარე განათების სისტემის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მოსახლეობისთვის კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში ქალებისა და ბავშვების, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება. გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
პროგრამის განხორციელების ვადები	უვადო
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	განათებული ქუჩები, ღამით მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემო.

ქვეპროგრამის დასახელება	გარეგანათების ქსელის მოწყობა და ელ.ენერჯია
პროგრამული კოდი	02 03 01
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1 001,6
ფუნქციონალური კოდი	7.64
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის მიზანი	შეუფერხებლად მოხდეს გახარჯული ელ ენერჯის ხარჯის დაფარვა
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი,	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება



რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2026წ-2029წ
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დროულადაა გადახდილი გახარჯული ელ.ენერჯის გადასახადი

ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ გარეგანთების სამსახური
პროგრამული კოდი	02 03 03
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1700,0
ფუნქციონალური კოდი	7.6.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გურჯაანის გარე განათების სამსახური
ქვეპროგრამის მიზანი	ა(ა)იპ -ი უზრუნველყოფს ქ.გურჯაანში და 23 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში) გარე განათების ქსელის მოვლა პატრონობასა და რეაბილიტაციას. გარე განათების სისტემა მოიცავს 28000-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 28000-ზე მეტ სანათ წერტილს, 50000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. ქვეპროგრამის განმახორციელებელი ააიპ უზრუნველყოფს გადამწვარი და ექსპლუატაციიდან გამოსული სანათების დროულ გამოცვლასა, შეკეთებას და მის გამართულ მუშაობას. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სუბსიდირებით მიღებული სახსრები. ქვეპროგრამა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი, ტექნიკურად გამართული გარე განათების სისტემის შექმნა.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2026წ
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	განათებულია ქალაქისა და სოფლის უბნები.

### 0204 შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა:

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია
- მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაციისათვის ამხანაგობების დაფინანსება

პროგრამის დასახელება	შენობების მშენებლობა რეაბილიტაცია- დემონტაჟი
პროგრამული კოდი	02 04
პროგრამის ბიუჯეტი	2 914,8
ფუნქციონალური კოდი	7.6 1



პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	მიმდინარე პერიოდისთვის მთავრობის რეგიონების განახლების ფონდიდან კეთილმოწყობა ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე შენობა ნაგებობების იერსახის და სახურავების აღდგენა რეაბილიტაცი, ქალაქის იერსახე შეცვლა, მაგრამ დარჩა მიმდებარე შენობები რომლის იერსახის რეაბილიტაციას გეგმავს მინიციპალიტეტი, ასევე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება შენობების იერსახისა და კეთილმოწყობისათვის.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა რაც ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ასევე ვიზიტორებისთვის არსებული სერვისებით სარგებლობის ხელმძღვანელობის გაზრდას, ხოლო არსებული სერვისებით კომფორტულად, კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით სარგებლობას.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა  მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
პროგრამის განხორციელების ვადები	პროგრამა მიმდინარეობს მუდმივად
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობისთვის კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის შექმნა და მუნიციპალურ სერვისებზე გაზრდილი ხელმძღვანელობა.

ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია
პროგრამული კოდი	02 04 01
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1000,0
ფუნქციონალური კოდი	7.6 1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
ქვეპროგრამის მიზანი	ღონისძიების ფარგლებში რეაბილიტირდება /აშენდება მედიათეკის შენობა სოფელ ძირკოკში და მინი სპორტ დარბაზი სოფელ ნანიანში. ფასადების მდგომარეობა ამ ეტაპზე არაადაამკაცყოფილებელია მოსახლეობის კომფორტისა და ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ეტაპობრივად განხორციელდეს რეაბილიტაცია. ხოლო სპორტული და საგანმანათლებლო სივრცეების შექმნა ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას ახალგაზრდებში. პროექტის განხორციელების შედეგად ისარგებლებს დაახლოებით 15 000 მდე ბენეფიციარი.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა  მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2026წ
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის დასახელება	მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტაცია
პროგრამული კოდი	02 04 02



ქვეპროგრამის ბიუჯეტი	1 914.8
ფუნქციონალური კოდი	7.6 1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა რეაბილიტაცია და იერსახის მოწესრიგება. ამხანაგობების ტანდაფინანსება წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. დაგეგმილია ქალქ გურჯაანში სანაპიროს, რუსთაველის და გურამიშვილის ქუჩის მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია, რაც მიმზიდველი გახდება როგორც ადგილობრივი ასევე სტუმრად მოსული ვიზიტორებისთვის.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2026წ
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადები.

## 02 05 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები

პროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სკვერები, სპორტული მოედნები)
პროგრამული კოდი	02 05
პროგრამის ბიუჯეტი	1 735.1
ფუნქციონალური კოდი	7.6 6
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	დღეის მდგომარეობით არსებული სპორტული და დასასვენებელი ინფრასტრუქტურა არა არის საკმარისი, გურჯაანის მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 41 მინი მოედანი, 27 სკვერი, 12 სატრენაჟორო სივრცე. ვინაიდან არნიმუნული სივრცეები დატვირთულია სრულად, მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს სპორტული და დასასვენებელი სივრცეების მოწყობას ეტაპობრივად ყველა სოფელში. ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა 7 სკვერი, 2 მინი მოედანი და 3 სატრენაჟორო სივრცე მუნიციპალიტეტის სოფლებში. ქალაქად მემორიალის სარეაბილიტაციო სამუშაოები. თუმცა არაა საკმარისი და საჭიროა მოეწყოს ყველა სოფელში დამატებითი გამაჯანსაღებელი სივრცეები. ისარგებლებს 20 000 მდე ბენეფიციარი.
პროგრამის მიზანი	ღონისძიების მიზანია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების გზით ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია და კომფორტული გარემოს შექმნა მოსახლეობისათვის.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები
პროგრამის განხორციელების ვადები	პროგრამა ხორციელდება მუდმივად
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებული სპორტული და დასასვენებელი ინფრასტრუქტურა



პროგრამის დასახელება	საკანალიზაციო სისტემებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები
პროგრამული კოდი	02 06
პროგრამის ბიუჯეტი	200,0
ფუნქციონალური კოდი	7.4 9
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	არსებული სანიაღვრე არხები ვერ უზრუნველყოფს ძლიერი წვიმის დროს წყლის ნაკადებისაგან მოსახლეობის სრულად დაცვას
პროგრამის მიზანი	ლონისძიების ფარგლებში მოეწყობა დაახლოებით 2800 გრძ/მ სანიაღვრე სისტემები სხვადასხვა სოფლებში. ლონისძიების მიზანია უსაფრთხო გარემოს შექმნა საჯარო და კერძო ინფრასტრუქტურის დატბორვისაგან დასაცავად.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები
პროგრამის განხორციელების ვადები	2026 წ.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებული სანიაღვრე სისტემა

### სოფლის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 08)

პროგრამის დასახელება	სოფლის პროგრამის თანადაფინანსება
პროგრამული კოდი	02 08
პროგრამის ბიუჯეტი	1009.9
ფუნქციონალური კოდი	7.4 9
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები სოფლებში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის არაა საკმარისი სოფლის მიერ მოთხოვნილი სამუშაოს სრულყოფისათვის ამიტომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხდება სამუშაოების დაფინანსების შევსება დადგენილი ნორმების ფარგლებში.
პროგრამის მიზანი	ლონისძიების მიზანია მოსახლეობის მიერ შეარჩეული პრიორიტეტული სამუშაოების დაფინანსება სრულყოფილად.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები
პროგრამის განხორციელების ვადები	2026 წ.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გადაჭრილი პრობლემური საკითხები სოფლებში



პროგრამის დასახელება	აუდიტორული მომსახურება
პროგრამული კოდი	02 09
პროგრამის ბიუჯეტი	5.0
ფუნქციონალური კოდი	7.4 9
პროგრამის განმახორციელებელი	ეკონომიკის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამით ხორციელდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ღირებულების დადგენა, მიწის ნაკვეთების, შენობების შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადება.
პროგრამის მიზანი	საპრივატიზაციო ქონების შეფასება და აზომვითი ნახაზების მომზადება.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები
პროგრამის განხორციელების ვადები	2026 წ.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შეაფასებულია საპრივატიზაციო ქონება და მომზადებულია აზომვითი ნახაზები

პროგრამის დასახელება	მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის ხელშეწყობა
პროგრამული კოდი	02 10
პროგრამის ბიუჯეტი	312.3
ფუნქციონალური კოდი	7.6 6
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	მოსახლეობის ჩართულობით დაგეგმილი პროექტების, ქალაქად და სოფლად მიმდინარე სხვადასხვა სამუშაოების შესრულებისთვის წინა წლის ვალდებულებების შესრულება,
პროგრამის მიზანი	პროგრამის განხორციელება საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას და მათ საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვას.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	5. თანასწორობა 11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები
პროგრამის განხორციელების ვადები	2025-26 წ.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოქალაქეთა მეტი ჩართულობით სოფლის საჭიროებებზე მორგებული ბიუჯეტი



პროგრამის დასახელება	სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები
პროგრამული კოდი	02 11
პროგრამის ბიუჯეტი	244,9
ფუნქციონალური კოდი	7.6 6
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამით ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024-2025წლებში გამოყოფილი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები. დაფინანსდა ფიზიკური პირების საცხოვრებელი სახლების სახურავების გადახურვის სამუშაოები, დაზიანებული მუნიციპალური შენობების სახურავები.
პროგრამის მიზანი	მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და სტიქიით გამოწვეული ზარალის ლიკვიდაცია.
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	5. თანასწორობა 11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები
პროგრამის განხორციელების ვადები	2025-2026წ წ.
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დროულადაა აღმოფხვრილი სტიქიისგან მიყენებული ზიანი.

## 02 12 - ააიპ გურჯაანის სატრანსპორტო სამსახური

პროგრამის დასახელება	ააიპ "გურჯაანის სატრანსპორტო სამსახური"
პროგრამული კოდი	02 12
პროგრამის ბიუჯეტი	1350.0
ფუნქციონალური კოდი	7.4 5
პროგრამის განმახორციელებელი	ააიპ "გურჯაანის სატრანსპორტო სამსახური"
